მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N8

ქ. მარნეული 15.04.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, კოტე ბოჭოიძე, ვანო ბურნაძე, ირაკლი ბურნაძე, რამიზ გულმამედოვი, ქამილ ალიევი, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი, ისმაილ ბაირამოვი, რაფიკ მუსაევი, აიდა ხაჩიკიანი, ბესიკ გუჯეჯიანი, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რაგიმ ასკეროვი, ჯოშგუნ ზეინალოვი, მამედ მამედოვი, ლევონ აკოპიანი, რაფიკ ჯაფაროვი, აგილ ფაშაევი, გივი ქველაძე, სულეიმან ხალილოვი, ელხან მუფტიევი.

არ ესწრებოდა: - ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, რუსტამ ფაშაევი, მახირ იუსუბოვი.

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: ,,მარნეული TV“-ს ტელევიზიის წარმომადგენლები, გაზეთ ,,ოზანის“ რედაქტორი ქამილ მუსაევი.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ.
2. ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 14 აპრილის N03/2446 წერილის განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 აპრილის N03/2393 წერილის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვალი ისმაილოვმა, N22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2016 წლის 12 აპრილის N7 წერილით შემოსული დოკუმენტაციის (რეგ. N610/05. 12.04.2016 წ) გათვალისწინებით საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ზურაბ სხირტლაძის ნაცვლად ხდება სადრადინ ტალიბოვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა, რაც მიღებული იქნა ცნობად (მიღებულია განკარგულება N58. 15.04.2016 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N13. 15.04.2016 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 14 აპრილის N03/2446 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს საფუძველზე საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს შ.პ.ს. ,,მარნეულის სოფწყალი"-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N56. 15.04.2016 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, საკრებულოს წევრებს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 აპრილის N03/2393 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს საფუძველზე, სთხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს, წახალისების სახით, 1000 ლარის გადარიცხვა დარეჯან გუჯეჯიანისათვის მისი შვილის, ლუკა კაპანაძის მოსკოვში ძიუდოს ჩემპიონატში მონაწილეობის მიღებისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N57. 15.04.2016 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის მერვე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი